ს.ს.ი.პ "საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის"

საერთო კრების ოქმი №2

კრების ჩატარების ადგილი : 11 დეკემბერი, 2010 წელი

თბილისი, ვ.ფშაველას გამზ: №43,

შპს. "პროფკავშირების კულტურის ცენტრი"

დღის წესრიგი:

1. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარის ანგარიში, აღმასრულებელი საბჭოს მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ;
   მომხსენებლი ზაზა ხატიაშვილი
2. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წესდებაში ცვლილებების განხილვა და დამტკიცება;
   მომხსენებლი ზაზა ხატიაშვილი
3. აღმასრულებელი საბჭოს მიერ წარმოდგენილი ადვოკატთა ასოციაციის ახალი სიმბოლიკის დამტკიცება ;
   მომხსენებლი ზაზა ხატიაშვილი
4. ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისცლიპლინური წარმოების შესახებ ახალი დებულების პროექტის განხილვა და დამტკიცება;
   (მომხსენებელი ირაკლი კორძახია, ეთიკის კომისიის თავმჯდომარე)
5. ადვოკატთა უფლებების დაცვის თაობაზე წინადადებების განხილვა, ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარის მიერ შემუშავებული მიმართვის ტექსტის დამტკიცება;
   მომხსენებლი ზაზა ხატიაშვილი
6. ეთიკის კომისიის წევრთა მიმართ უნდობლობის გამოცხადების საკითხი
   მომხსენებელი ადვოკატი მამუკა ნოზაძე ;
7. ეთიკის კომისიის ახალი წევრების არჩევა.

ზაზა ხატიაშვილი

რეგისტრაცია დაიწყო 09:30 წუთზე და კრების გახსნის დროს 12:00 საათზე რეგისტრირებულ ადვოკატთა რაოდენობამ შეადგინა 552 ადვოკატი.

საქართველოს კანონის ადვოკატთა შესახებ 24-ე მუხლის, 1 პუნქტის თანახმად, მოწვეულ იქნა განმეორებითი საერთო კრება, რომელიც უფლებამოსილია მიუხედავად დამსწრე წევრთა რაოდენობისა.

12:00 საათზე კრება გაიხსნა ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარის– ზაზა ხატიაშვილის მისასალმებელი სიტყვით.

კრების რეგლამენტის თანახმად, კრებაზე დამსწრე ადვოკატებიდან, დასახელდნენ ხმის დამთვლელი კომისიის კანდიდატები: 1. მარინა ძამისაშვილი, 2. ქეთევან შალიკაშვილი, 3. ლალი ბუნტური, 4. გოგიტა გაბაიძე, 5. თამილა ქუთათელაძე, 6. ლევან ჩხეიძე, 7. გიორგი ჯიჯეიშვილი, 8. ოთარ ჭანტურიძე, 9. ელენე მაისურაძე, 10. მაია ყანადაშვილი, 11. არჩილ დეკანოზიშვილი, 12. ირაკლი ზაქარეიშვილი, 13. რომან მხეიძე, 14. ბაია გულიაშვილი, 15. გიორგი მარიამიძე . კომისიის წევრთა რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 15 კანდიდატს.

მოცემულ საკითხზე დაიწყო ღია კენჭისყრა:

ხმათა უმრავლესობით დამტკიცდა ხმის დამთვლელი კომისიის 15 წევრი. ხმის დამთვლელი კომისიის შემადგენლობიდან, კომისიის მიერ თავმჯდომარედ არჩეულ იქნა გიორგი მარიამიძე.

პირველი საკითხი.

მოისმინეს: კრების თავმჯდომარემ- ზაზა ხატიაშვილმა კრებას წარუდგინა ანგარიში აღმასრულებელი საბჭოს მიერ 2010 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ. (იხილეთ დანართი №1, ანგარიში აღმასრულებელი საბჭოს მიერ 2010 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ).

აზრი გამოთქვეს:

1. ადვოკატ გიორგი მარიამიძის მიერ გამოთქმულ იქნა მოსაზრება, რომ, ვინაიდან, ასოციაცია მცირებიუჯეტიანია, აღმასრულებელი საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება– საწევრო შენატანებიდან ადვოკატთა სამედიცინო დაზღვევის შესახებ ხომ არ შექმნის ასოციაციის ჩიხში შეყვანის საფრთხეს.

2. თავმჯდომარემ გააკეთა განმარტება, რომ აღმასრულებელი საბჭოს წევრების აქტიური თანამშრომლობის შედეგად საერთაშორისო ორგანიზაციებთან, მიღწეულია შეთანხმება განგრძობადი იურიდიული განათლების დაფინანსების შესახებ, რაც ასოციაციის ბიუჯეტს საშუალებას აძლევს თავისუფლად დააფინანსოს ადვოკატთა სამედიცინო დაზღვევის ერთწლიანი პაკეტი.

3. ადვოკატ თემურ გოგსაძის მიერ გამოითქვა მოსაზრება სემინარების ხანგრძლივობასთან და სავალდებულო მოსმენასთან დაკავშირებით.

4.ადვოკატ როინ მიგრიაულმა დააფიქსირა მოსაზრება, რომ სასურველია პროფესორები და მეცნიერ-ადვოკატები სემინარში მონაწილეობის ვალდებულებისაგან გათავისუფლდნენ, რაზეც თავმჯდომარემ განუმარტა დამსწრე საზოგადოებას, რომ სემინარების კურსის შინაარსს და ხანგრძლივობას განსაზღვრავს აღმასრულებელი საბჭო. ამდენად, კონკრეტული შეკითხვებით, უმჯობესია, გაკეთდეს მიმართვა აღმასრულებელი საბჭოს სახელზე.

დაადგინეს: საერთო კრებამ მოიწონა და მიიღო ანგარიში აღმასრულებელი საბჭოს მიერ 2010 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ.

მოისმინეს: საქართველოს კანონის ადვოკატთა შესახებ, 21-ე მუხლის, მე-3 პუნქტის, "დ" ქვეპუნქტის შესაბამისად, ირაკლი კორძახიამ კრებას გააცნო ეთიკის კომისიის მიერ 2010 წელს გაწეული საქმიანობის ანგარიში.

აზრი გამოთქვეს: გამოთქმული იქნა მოსაზრება, როდესაც ადვოკატი თანამშრომლობს გამოძიებასთან კლიენტის ინტერესების საზიანოდ, სასურველია ეთიკის კომისიამ მიიღოს უფრო მკაცრი გადაწყვეტილებები, ვიდრე სარეკომენდაციო ბარათის მიცემაა ადვოკატისთვის. ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ გააკეთა განმარტება, რომ ეთიკის კომისია თავისი უფლებამოსილების ფარგლებში ყოველთვის მიიღებს პრინციპულ გადაწყვეტილებებს.

დაადგინეს: საერთო კრებამ მოიწონა და მიიღო ეთიკის კომისიის ანგარიში 2010 წელს გაწეულ საქმიანობასთან დაკავშირებით.

მეორე საკითხი.

მოისმინეს: კრების თავმჯდომარემ კრებას წარუდგინა პროექტი საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წესდებაში ცვლილებების განხილვის და დამტკიცების შესახებ. თავმჯდომარემ დეტალურად განუმარტა დამსწრე საზოგადოებას წარმოდგენილი ცვლილებები (იხილეთ დანართი №2, ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს მიერ ადვოკატთა ასოციაციის წესდებაში შემუშავებული ცვლილებების პაკეტის პროექტი).

აზრი გამოთქვეს:

1. ადვოკატ მამუკა ნოზაძის მიერ გამოთქმულ იქნა პროტესტი რიგგარეშე კრების მოწვევისთვის 5 პროცენტიანი ქვორუმის 10 პროცენტამდე გაზრდის გამო, კერძოდ, წესდებაში წარმოდგენილი მე-13 მუხლის, მე- 4 პუნქტთან დაკავშირებით, რომლის მიხედვითაც, რიგგარეშე საერთო კრების მოწვევის მოთხოვნის და დღის წესრიგში ცვლილებების შეტანის უფლებამოსილება გააჩნიათ ასოციაციის წევრების არანაკლებ 10 (ათი) პროცენტს. ადვოკატ მამუკა ნოზაძის მოთხოვნის მიხედვით, რიგგარეშე კრების მოწვევისთვის 5 პროცენტიანი ქვორუმი უცვლელად უნდა დარჩეს. მან მოითხოვა აღნიშნული წინადადების კენჭისყრაზე დაყენება.

2. ადვოკატ ალექსი კობაიძის მიერ გამოთქმულ იქნა მოსაზრება, რომ შეიცვალოს ადვოკატთა ასოციაციის სახელწოდება, კერძოდ ტერმინი "ადვოკატი" ჩანაცვლდეს ტერმინით "დამცველი". წარმოდგენილმა წინადადებამ აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია, თუმცა თავმჯდომარის და კრების მონაწილეების მხრიდან გაკეთდა განსაზღვრება, რომ აღნიშნული ცვლილების შესატანად კანონში ცვლილებაა საჭირო და ამრიგად, ეს საკითხი მოკლებულია საერთო კრებაზე განხილვის შესაძლებლობას.

მოცემულ საკითხზე დაიწყო ღია კენჭისყრა:

დაადგინეს: კრების თავმჯდომარემ ღია კენჭისყრაზე დააყენა საკითხი– წესდებაში შესატანი ცვლილებების პაკეტის დამტკიცების და მამუკა ნოზაძის მიერ დაყენებული საკითხის– რიგგარეშე კრების მოწვევისთვის 5 პროცენტიანი ქვორუმის უცვლელად დატოვების შესახებ. საერთო კრების უმრავლესობამ არ გაიზიარა მამუკა ნოზაძის წინადადება წესდებაში რიგგარეშე კრების მოწვევისთვის 5 პროცენტიანი ქვორუმის უცვლელად დატოვების შესახებ.

კენჭისყრის დაწყებამდე, ხმის დამთვლელი კომისიის თავმჯდომარის მიერ მოწოდებული ინფორმაციით, დარბაზში დამსწრე წევრთა რაოდენობა იყო 382 ადვოკატი. კენჭისყრის შედეგად, ხმათა უმრავლესობით (353 მომხრე 29-ის წინააღმდეგ), **წესდებაში შესატანი ცვლილებების პაკეტი დამტკიცებულ იქნა კრებაზე წარმოდგენილი სახით (იხილეთ დანართი №3, ადვოკატთა ასოციაციის წესდება ცვლილებების გათვალისწინებით).**

მესამე საკითხი.

მოისმინეს: თავმჯდომარემ კრებაზე დამსწრე ადვოკატებს წარუდგინა ასოციაციის სიმბოლიკის ახალი ნიმუში.

აზრი გამოთქვეს: აზრი არ გამოთქმულა

მოცემულ საკითხზე დაიწყო ღია კენჭისყრა:

დაადგინეს: კრების თავმჯდომარემ აღნიშნული საკითხი შემდეგი ფორმულირებით დააყენა კენჭისყრაზე: შეიცვალოს თუ არა ასოციაციის არსებული სიმბოლიკა წარმოდგენილი ახალი სიმბოლიკის ნიმუშით?

კენჭისყრის დაწყებამდე, ხმის დამთვლელი კომისიის თავმჯდომარის მიერ მოწოდებული ინფორმაციით, დარბაზში დამსწრე წევრთა რაოდენობა იყო დარბაზში დამსწრე 358 ადვოკატი. კენჭისყრის შედეგად, ხმები შემდეგნაირად გადანაწილდა: არსებული ლოგოს შეცვლის მომხრე იყო 115 ადვოკატი, არსებული ლოგოს შეცვლას წარმოდგენილი ახალი სიმბოლიკის ნიმუშით მხარი არ დაუჭირა 243 ადვოკატმა. **კენჭისყრის შედეგად (115 მომხრე - 243 ადვოკატის წინააღმდეგ), ახალი სიმბოლიკის ნიმუში არ იქნა მიღებული, შესაბამისად, დარჩა არსებული სიმბოლიკა.**

მეოთხე საკითხი.

მოისმინეს: ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინარული წარმოების შესახებ ახალი დებულების პროექტის განხილვა და დამტკიცება.

ირაკლი კორძახიამ ისაუბრა დებულებაში დამატებული ცვლილებების შესახებ.

აზრი გამოთქვეს:

1. ადვოკატ კობა კობახიძის მიერ დაფიქსირებულ იქნა შენიშვნა ადვოკატთა დისცლიპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინარული წარმოების შესახებ დებულების 21-ე მუხლის "ბ" ქვეპუნტში და 36-ე მუხლში დაზუსტების ჩამატების, ხოლო მე-18 მუხლში მე-2 ნაწილის ამოღების შესახებ.

მოცემულ საკითხზე დაიწყო ღია კენჭისყრა:

კრების თავმჯდომარემ ღია კენჭისყრაზე დააყენა ადვოკატთა დისცლიპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინარული წარმოების შესახებ ახალი დებულების პროექტის დამტკიცების საკითხი დებულების მე-18, 21-ე, და 36-ე მუხლების დაზუსტებით (იხილეთ დანართი №4, ადვოკატთა დისცლიპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინარული წარმოების შესახებ კრების მიერ მიღებული ახალი დებულება).

დაადგინეს: აღნიშნულ საკითხზე კენჭისყრის დაწყებამდე, ხმის დამთვლელი კომისიის თავმჯდომარემ გამოაცხადა დარბაზში დათვლილი დამსწრე პირთა რაოდენობა და დაადასტურა, რომ კენჭისყრას ესწრებოდა 350 ადვოკატი. ღია კენჭისყრის შედეგად, ხმათა უმრავლესობით (346 მომხრე 4-ის წინააღმდეგ) **ადვოკატთა დისცლიპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინარული წარმოების შესახებ ახალი დებულების პროექტი დამტკიცებულ იქნა აღნიშნული დაზუსტებების: მე-18, 21-ე და 36-ე მუხლების გათვალისწინებით.**

მეხუთე საკითხი.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ–ზაზა ხატიაშვილმა კრების მონაწილეებს დასამტკიცებლად წარუდგინა ასოციაციის თავმჯდომარის მიერ შემუშავებული მიმართვის ტექსტი დიდი რვიანის სახელმწიფოს მეთაურების, ევროპის საბჭოს, ევროკავშირის, ევროპის პარლამენტის, ევროპის ადვოკატთა ასოციაციის, მსოფლიოს ყველა ქვეყნის დამოუკიდებელი ადვოკატების და საერთაშორისო ორგანიზაციების მისამართით.

აზრი გამოთქვეს:

1. ადვოკატ კობა კობახიძის მიერ დაფიქსირებულ იქნა შენიშვნა შინაარსში არსებული ტერმინოლოგიის კორექტირების კუთხით.

ზაზა ხატიაშვილი

2. ადვოკატ ლევან ჩხეიძემ დააფიქსირა მოსაზრება, რომ მიმართვის ტექსტი პოლიტიკურ დატვირთვას ატარებს, რომელმაც შეიძლება ასოციაციისთვის დადებითი შედეგი არ მოიტანოს.

3. თავმჯდომარემ გააკეთა განმარტება, რომ მას ტექსტი არ მიაჩნია პოლიტიკური შინაარსის მატარებლად, ვინაიდან, ტექსტის შინაარსობრივი მხარე მოიცავს მხოლოდ ფაქტებს დაზარალებული ადვოკატების შესახებ.

მოცემულ საკითხზე დაიწყო ღია კენჭისყრა:

დაადგინეს: თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი მიმართვის ტექსტის დამტკიცების საკითხი. კენჭისყრის დაწყებამდე, ხმის დამთვლელი კომისიის თავმჯდომარის მიერ მოწოდებული ინფორმაციით, დარბაზში დათვლილი დამსწრე წევრთა რაოდენობა შეადგენდა 358 ადვოკატს. კენჭისყრის შედეგად (336 მომხრე 2-ის წინააღმდეგ, თავი შეიკავა 20 ადვოკატმა), **თავმჯდომარის მიერ წარმოდგენილი მიმართვის ტექსტი დამტკიცდა (იხილეთ დანართი №5, საერთო კრების მიერ დამტკიცებული მიმართვის ტექსტი).**

მეექვსე საკითხი.

მოისმინეს: თავმჯდომარემ კრების მონაწილეებს გააცნო საინიციატივო ჯგუფის განცხადება (176 ადვოკატის ხელმოწერით) ეთიკის კომისიის წევრთა მიმართ უნდობლობის გამოცხადების შესახებ.

აზრი გამოთქვეს:

1. მამუკა ნოზაძემ მოითხოვა დღის წესრიგში საკითხი ჩამოყალიბებულიყო ამგვარი ფორმულირებით: უნდობლობის გამოცხადება დაფიქსირებულ იქნას ეთიკის კომისიის წევრების–ეკატერინე გასიტაშვილის და კახაბერ წერეთლის მიმართ 5 წლიანი საადვოკატო სტაჟის არქონის გამო, ხოლო დანარჩენი წევრების: ლავრენტი ქავთარაძის, დავით კაკაბაძის და ასევე ეკატერინე გასიტაშვილის მიმართ – ადვოკატთა დისცლიპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინარული წარმოების შესახებ დებულების მე-7 მუხლის მე-2 ნაწილის და წესდების მე-8 მუხლის დარღვევის მოტივით და ასევე, მან განმარტა, რომ ეთიკის კომისიის წევრთა მიმართ უნდობლობის გამოცხადებას საფუძვლად არ ედო ეთიკის კოლეგიის მიერ მის მიმართ გამოტანილი გადაწყვეტილებით გამოწვეული პირადი უკმაყოფილების მიზეზი, არამედ, განხილვის

პროცესში ადგილი ჰქონდა ზემოთმითითებული მუხლების დარღვევას. ასევე უნდა მოხდეს მსჯელობა ეთიკის კომისიის აღნიშნული წევრების 5 წლიანი საადვოკატო სტაჟის არქონის საკითხის შესახებ, რომლებიც თავის დროზე არჩეულ იყვნენ საერთო კრების მიერ.

2. მამუკა ნოზაძის მოსაზრება ასოციაციის წესდების მე-13 მუხლის, მე- 4 პუნქტთან დაკავშირებით გაიზიარა ადვოკატმა თამილა ქუთათელაძემ, რომელმაც მოუწოდა კრების მონაწილეებს მეტი ყურადღებით ედევნებინათ თვალი კრების მსვლელობისთვის, რათა მიეღოთ სამართლიანი გადაწყვეტილება, რადგან წესდებაში მიღებული ცვლილება მე-13 მუხლის, მე-4 პუნქტთან დაკავშირებით, რომლის მიხედვითაც რიგგარეშე საერთო კრების მოწვევის მოთხოვნის და დღის წესრიგში ცვლილებების შეტანის უფლებამოსილება გააჩნიათ ასოციაციის წევრების არანაკლებ 10 (ათი) პროცენტს, უკვე არის იმ ადვოკატთა უფლებების შეზღუდვა, რომელთაც სურთ აზრის გამოხატვა, ვინაიდან ამ ცვლილებით მათ ერთმევათ საკუთარი აზრის და ნების გამოხატვის თავისუფლება. ასევე, მან შეახსენა კრებაზე დამსწრე საზოგადოებას, რომ ნებისმიერი მათგანი შეიძლება აღმოჩნდეს იმ მდგომარეობაში, რომელშიც ამჟამად ადვოკატი მამუკა ნოზაძე იმყოფება და მოუწოდა მათ გამოიჩინონ სიფრთხილე და შესაბამისი, მართებული რეაგირება მოახდინონ ამ ფაქტზე;

3. ადვოკატ მარიამ წერეთელმა გააკეთა განცხადება, რომ იგი თვითონ იყო წესდებაში შესატანი ცვლილებების პროექტის ერთ-ერთი ავტორი, რომ სამწუხაროდ, კრებაზე დამსწრე პირთა უმრავლესობამ ძალიან სპონტანურად, გააზრების გარეშე დაუჭირა მხარი ამ პროექტს და მოუწოდა მათ მეტი წინდახედულობისკენ;

4. ადვოკატ გიორგი მარიამიძემ გამოხატა პროტესტი, რომ კრების გახსნის შემდეგ, დღის წესრიგი არ დამტკიცებულა და ეჭვქვეშ დააყენა კრების მიერ კენჭისყრით დამტკიცებული საკითხების ლეგიტიმურობა. ადვოკატ ზვიად კორძაძის მიერ გიორგი მარიამიძეს განემარტა, რომ

ადმინისტრაციულ სამართალში არ არის მითითებული ნორმა, რომელიც კრებას დღის წესრიგის დამტკიცებას ავალდებულებს;

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, თავმჯდომარესთან წინასწარი ჩაწერის მიხედვით, ადვოკატებს მიეცათ აზრის გამოხატვის საშუალება რეგლამენტით გათვალისწინებული 2 წუთიანი ინტერვალის ფარგლებში;

5. ადვოკატებმა ნათელა ჩერქეზიამ და გოჩა საღლიშვილმა ეთიკის კომისიის მისამართით გააკეთეს განცხადება, რომ ისინი არ გაეცნენ საინიციატივო ჯგუფის მიერ შემოტანილი განცხადების შინაარსს და გაუაზრებლად დააფიქსირეს საკუთარი ხელმოწერა;

6. საკუთარი პოზიცია გამოხატეს ეთიკის კომისიის წევრებმა ეკატერინე გასიტაშვილმა, კახაბერ წერეთელმა, ემზარ პაქსაძემ, მაკა კვაჭაძემ და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ –ირაკლი კორძახიამ, რომელთაც ერთხმად აღნიშნეს, რომ ვინაიდან, ეთიკის კომისიის განხილვის ობიექტი არის მათი კოლეგა, ისინი ძალიან ფრთხილად ეკიდებიან თითოეული ადვოკატის საქმეს და დასძინეს, რომ ეთიკის კომისიის წევრობა პირველ რიგში უდიდეს პასუხისმგებლობასთან არის დაკავშირებული, რომელიც ყველა მათგანს კარგად აქვს გაცნობიერებული. ასევე, მათ გააკეთეს განმარტება საკუთარი საადვოკატო საქმიანობის პერიოდის შესახებ და დასძინეს, რომ კრების წინაშე დაყენებული საკითხი ეთიკის კომისიის წევრების მიმართ უნდობლობის გამოცხადების შესახებ, პირველ რიგში, საფრთხეს უქმნის ეთიკის კომისიის ინსტიტუტს, როგორც ადვოკატთა ასოციაციის თვითრეგულირების ორგანოს და მოუწოდეს კრების მონაწილეებს კარგად გაეაზრათ არსებული საფრთხე.

7. საკუთარი მოსაზრება გამოთქვეს ადვოკატებმა იოსებ ბარათაშვილმა, ზვიად კორძაძემ და გოჩა სვანიძემ. სამივე ადვოკატის მხრიდან ძირითადი შენიშვნა მდგომარეობდა შემდეგში: რომ საინიციატივო ჯგუფის მიერ კრებაზე არასწორი ფორმულირებით წარმოდგენილი განცხადება ეთიკის კომისიის წევრების მიმართ უნდობლობის გამოცხადების შესახებ სასამართლოს განხილვის საგანია და უნდა მიეცეს შესაბამისი

მსვლელობა. ასევე, მათ განმარტეს, რომ ეთიკის კომისიის წევრთა მიმართ დაყენებული საკითხი უნდობლობის გამოცხადების შესახებ, რომელიც მხოლოდ კონკრეტული ადვოკატის პირადი განაწყენების საფუძველს ემყარება, რეალურ საფრთხეს უქმნის ადვოკატთა ასოციაციის ძალიან მნიშვნელოვან მონაპოვარს– ადვოკატთა ერთადერთ თვითრეგულირების ორგანოს არსებობას. მათ დააფიქსირეს საკუთარი პოზიცია კენჭისყრაში მონაწილეობის გაპროტესტების შესახებ. თუმცა კრებაზე დამსწრე პირთა ეჭვების უგულვებელსაყოფად, საკითხის შესაძლო თავიდან მოშორების მიზნით, ზვიად კორძაძემ განმარტა, რომ ასოციაცია სრულ მზადყოფნაში იყო ეთიკის კომისიის წევრთა გადარჩევისთვის, რასაც ადასტურებდა ამ ღონისძიებისთვის ცენტრალური საარჩევნო კომისიიდან მოტანილი საარჩევნო ყუთები. ასევე, ზვიად კორძაძემ განმარტა, რომ საინიციატივო ჯგუფის მიერ კრების დღის წესრიგში შეტანილი საკითხის შეცვლას სჭირდება ასოციაციის წესდებით გათვალისწინებული წესით განსაზღვრული ადვოკატთა რაოდენობა, რომლებსაც გააჩნიათ უფლებამოსილება დღის წესრიგში შეიტანონ საკითხი. ადვოკატებმა ზვიად კორძაძემ, გოჩა სვანიძემ და იოსებ ბარათაშვილმა მოუწოდეს დამსწრე საზოგადოებას მიეღოთ შესაბამისი გადაწყვეტილება მოსალოდნელი საფრთხის და კრებაზე დაყენებული საკითხის საფუძველიანობის გათვალისწინებით;

7. გოჩა სვანიძემ წინადადებით მიმართა კრების თავმჯდომარეს, კენჭისყრაზე დაეყენებინა დღის წესრიგიდან მოხსნის შესახებ საინიციატივო ჯგუფის მიერ დაყენებული საკითხი – ეთიკის კომისიის წევრების მიმართ უნდობლობის გამოცხადების და ეთიკის კომისიის ახალი წევრების არჩევის შესახებ.

მოცემულ საკითხზე დაიწყო ღია კენჭისყრა:

დაადგინეს: კრების თავმჯდომარემ, ზაზა ხატიაშვილმა ღია კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგიდან მოხსნის შესახებ საკითხი – ეთიკის კომისიის წევრთა მიმართ უნდობლობის გამოცხადების და ეთიკის კომისიის ახალი წევრების არჩევის შესახებ.

კენჭისყრის დაწყებამდე, ხმის დამთვლელი კომისიის თავმჯდომარის მიერ მოწოდებული ინფორმაციიით, დარბაზში დათვლილ ადვოკატთა რაოდენობა იყო

149 ადვოკატი. კენჭისყრის შედეგად (143 მომხრე 6-ის წინააღმდეგ), **დღის წესრიგიდან მოიხსნა ეთიკის კომისიის წევრთა მიმართ უნდობლობის გამოცხადების და ეთიკის კომისიის წევრების ახალი არჩევის შესახებ .**

აღნიშნული ფაქტი გააპროტესტა ადვოკატმა თამილა ქუთათელაძემ. მისი განაცხადებით, კრება არ იყო უფლებამოსილი ამ გადაწყვეტილების მიღებისას, ვინაიდან დარბაზში არ არსებობდა ქვორუმი და დასძინა, რომ საკითხი აუცილებლად გასაჩივრდება სასამართლოში.

კრებაზე საკითხები განხილულ იქნა დღის წესრიგით გათვალისწინებული რეგლამენტით.

17:30 წუთზე საერთო კრება დახურულად გამოცხადდა.

ზაზა ხატიაშვილი

"საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის"

თავმჯდომარე